

ფინანსური მდგომარეობა				
ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	318980	173425	3830
მოთხოვნები ბანკების მიმართ	4	5800	0	0
მოკლევადიანი მარაგები	5	134804	614022	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	241485	2582546	0
სხვა საგადასახადო აქტივი	8	165294	180191	8251
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	2396958	0	0
ძირითადი საშუალებები	6	178437	173594	0
სულ აქტივები		3441758	3723778	12081
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	5248182	1806655	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	8	1732604	401676	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		0	1302974	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	8	47170	65869	0
სულ ვალდებულებები		5295352	3577174	0
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-1853594	146604	12081
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		-1853594	146604	12081
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3441758	3723778	12081
სულ მოკლევადიანი აქტივები		3263321	3550184	12081
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5295352	2577174	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
საქმიანობის შედეგები			
ამონაგები	9	12266322	9274169
გაყიდვების თვითღირებულება	11	-9625081	-7884522
გამოყენებული ნედლეული და მასალები		0	0
საერთო მოგება		2641241	1389647
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10	100048	0
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	11	-1096732	-943599
საკონსულტაციო ხარჯი	11	-22085	-66346
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	11	-1771	-879
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	11	-3559	0
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	11	-21171	-7393
იჯარის ხარჯი	11	0	-2500
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	11	-35500	-18641
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-3557123	-215766
საოპერაციო მოგება		-1996652	134523
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	11	-1996652	134523
მოგების გადასახადის ხარჯი	12	-3546	0
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		-2000198	134523
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-2000198	134523
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-2000198	134523

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	145555	169595
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	145555	169595
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	173425	3830
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	318980	173425

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "გოქშინ ინშაათ გიდა ტურიზმ ბილიშიმ თუქეთიმ მალლარი ფაზარლამა მადენჯილიქ ვე ფროქე მუშავირლიქ ჰიზმეთლერი სანაი თიჯარეთ"-ის საქართველოს ფილიალი ს.კ 400015540 წარმოდგენს უცხოური საწარმოს ფილიალს რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი ქობულეთის მუნიციპალიტეტი ლესელიძის შესახვევი 18ა და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ცეცხლაური, კომპანიის ძირითადი საქმიანობა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, კერძოდ ქობულეთში სოფ.ცეცხლაურში მყარი ნარჩენების განთავსების ობიექტის , ახალი სანეტარული ნაგავსაყრელის პოლიგონისა და მისასვლელი გზის მშენებლობა, დამკვეთი აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია ს.კ 245626684,კომპანია დარეგისტრირებულია საგადასახადო შეღავათით მოსარგებლეთა რეესტრში ამ პროექტის ფარგლებში , შესაბამისად დამკვეთისთვის მისაწოდებელი მომსახურეობა განთავსისუფლებულია ჩათვლის უფლებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედ გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფული და ფულის ექვივალენტები კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მიერ მომსახურეობის შესრულება ხდება ეტაპობივად დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო -მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობს შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სახვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-10 წელი;

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი 2-7 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი;

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშობა, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	38901	104742
ფული საბანკო ანგარიშებზე	280079	68683
სულ	318980	173425

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები-მოთხოვნა დამკვეთის მიმართ	-	1632582
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	241485	37491
მომსახურების შესრულების საგარანტიო თანხა(10%)	2396958	912473
დრ.რეჟიმთან განხორციელებული საგარანტიო თანხა ბანკში	5800	-
სულ	2644243	2582546

შენიშვნა 5

მარაგები

	2020	2019
საწვავი	9762	15217
სამშენებლო ნედლეული და მასალები	89836	572643
სხვა მცირეფასიანი ინვენტარი	35206	26162
სულ	134804	614022

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 7584882 ლარი.

ძირითადი საშუალებები

	დრ.შენობები	მანქანა დანადგარები	ავტო და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვი ლობა	სხვა ძირითად ი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.დეკ.19	77271	20404	34079	16430	3451	40600	192235
შემოსვლა	2119	296	3280	1041		33607	40343
გასვლა	0	0	0	0	0	0	0
31.დეკ.20	79390	20700	37359	17471	3451	74207	232578
ცვეთა და გაუფასურება							
31.დეკ.19	-7291	-2298	-3859	-1867	-619	-2707	-18641
პერიოდის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	12126	4662	-8045	-4279	-928	-5460	35500
31.დეკ.20	-12126	-4662	-8045	-4279	-928	-5460	-35500
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31.დეკ.19	69980	18106	30220	14563	2832	37893	173594
31.დეკ.20	59973	13740	25455	11325	1904	66040	178437

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები საქონლის შეძენები	3507890	1801465
სხვა ვალდებულებები მომსახურებიდან	8389	6191
მიღებული ავანსები	-	1302974
გადასახადელი ხელფასები	46470	64869
მოკლევადიანი სესხები	1732604	401676
საგადასახადო ვალდებულება	-165293	-180191
სულ	5130060	3396984

შენიშვნა 9**ამონაგები**

	2020	2019
მომსახურების გაწევიდან	12266322	9274169
სულ	12266322	9274169

შენიშვნა 10**სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო**

	2020	2019
ექსპორტი	84457	-
არასაოპერაციო შემოსავალი	15591	-
სულ	100048	0

შენიშვნა 11**სხვა ხარჯები**

	2020	2019
დარიცხული ხელფასი	1236230	932075
დარიცხული ცვეთა	35500	18641
კომუნალური გადასახადები	21171	11597
საგადასახადო ხარჯი	1771	879
დარიცხული ჯარიმა	3559	-
საკონსულტაციო ხარჯი	22085	66346
ქონების დაზღვევა	53465	27670
სავალდებულო დაზღვევა	1365	642
საპენსიო დანარიცხები	9140	6586
საკანცელარიო ხარჯები	10399	16575
ბანკის მომსახ.საკომისიო	1932	2968
საოფისე ხარჯები	76743	11020
დრ.რეჟიმი	2250759	1692433
არასაოპერაციო ხარჯები	36145	35780
კურსთა სხვაობა	860325	124986
ქველმოქმედების ხარჯი	15100	-
მშენებლობაზე გახარჯული მასალების თვითღირებულება	7135574	3970567
ექსპორტით გასული მასალის თვითღირებულება	72076	-
დაზიანებული ინვენტარი აქტით ჩამოწერილი	8490	-
COVID 19-თან დაკავშირებით მოსახლეობაზე დარიგ.პროდუქციის თვითღირებულება	21350	-
მშენებლობაზე გაწეული პირდაპირი ხარჯები	2489845	2221522
სულ	14363022	9140287

შენიშვნა 12

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2020	2019
მოგების გადასახადის ხარჯი(ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისის აღიარება)	3545	-
სულ	3545	-

შენიშვნა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს

დირექტორის ფირათ უზუნის მიერ :

